საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030133169776420

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/7583 **03 / ივლისი / 2020 წ.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურს

გაცნობებთ, რომ COVID-19-ზე გადაუდებელი რეაგირების პროექტის განხორციელებისთვის მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სესხის (#9113-GE) ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიძინა კორეული კომპანიის „SD Biosensor. Inc." მიერ წარმოებული კორონავირუსის სადიაგნოსტიკო არარეგისტრირებული 50 000 ცალი (2000 შეკვრა, თითოეულში 25 ტესტი) ანტიგენის განმსაზღვრელი სწრაფი ტესტი (STANDARD™ Q COVID-19 Ag Test), არაკომერციული მიზნით გამოსაყენებლად.

ამას გარდა, ამავე კომპანიამ სამინისტროს უსასყიდლოდ გადმოსცა 5000 ცალი (200 შეკვრა, თითოეულში 25 ტესტი) ანტიგენ/ანტისხეულის განმსაზღვრელი არარეგისტრირებული კორონავირუსის სწრაფი ტესტი (STANDARD™ Q COVID-19 Ag/Ab Test), არაკომერციული მიზნით გამოსაყენებლად.

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 11^{13} მუხლის (თ) ქვეპუნქტის შესაბამისად სამინისტრო თანახმაა, გააფორმოს კორეული კომპანიისგან „SD Biosensor. Inc." შესყიდული, ასევე უსასყიდლოდ გადმოცემული კორონავირუსის ზემოაღნიშნული ტესტები.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია